

საგებნებო

№2 1.1.-1.2 2012 წლის 2 ტომი

ყოველთვიური გამოცემა

გილოცავთ უოზა-ასალ წელს



ლაზიკა-
ათწლიანი პრეზენტი და
დასაქმებულ ადამიანთა

მკვეთრი ზრდა

თამაზ გაბისონია:

მეგრული სიმღერა-

მასშტაბური და

კულტურული

მოვლანა

გვ. 36



ნაული ჯანაშიას

სადაუბატო

მინია, რწმენის

სიმბოქსა და

პიროვნული

ღირებულება

გვ. 19

**როგორ სვდებოდნენ
ასალ წელს
სამეგრელოში**

გვ. 10



რამდენად უყვარს ბერბა სოფანას მეგრელები
და როგორ განსდა იგი მსახიობი

გვ. 34

როგორ უეხვდეთ

გვ. 5

2012 წელს



მეგრული სიმღერა

„ნაციონალურ მუსიკას – სიმღერას, ეროვნულ ხოროს დიდათ აფასებენ და აფასებდნენ ყველა ერი, მეტარდე იმისთანანი, რომელნიც ქართველებივით გზაჯვარედინზე ცხოვრობენ და ხშირად განიცდიდენ სხვა ერებიდან შევიწროებას და მოსალოდნელ გადაგვარებას. ცხადია, ამ გადაგვარებას ხელს უშლის, თავის სახეს ყოველთვის შეუნარჩუნებს ერს თავისი ეროვნული მუსიკა“ – ნერდა დიდი მეგრული ლოტბარი ძუკუ ლოლუა.

მართლაც, სიმღერა ის ფენომენია, რომელიც დღესაც ქართველის თვითმყოფადობის სიმბოლოა, მისი მარჯვენა ხელია ჭირსა თუ ლხინში. ცხადია, ასეთივეა ქართული ხალხური მუსიკის მძლავრი შენაკადი – მეგრული სიმღერა, რომელიც ჩვენი მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი მასშტაბური და კოლორიტული მოვლენაა.

ძველი კოლხეთის მემკვიდრე სამეგრელოში სწორედ ხალხური სიმღერაა, ის ძარღვი, რომელშიც ყველაზე ძალუმად შეიგრძნობა კოლხურ-მეგრულ-ლაზური კულტურის მარჯისცემა.

ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ქსენოფონტე აღნიშნავს ქართველური ტომის, მეგრელთა ერთ-ერთი წინაპრების – მოსინიკთა საომარ სიმღერებს, რომელთაც იგი უცნაურს უწოდებს. ამ „უცნაურობაში“ ზოგიერთი მკვლევარი მრავალბმიანობას მიიჩნევს, რაც ერთხმად ბერძნული კულტურის წარმომადგენელი ქსენოფონტესთვის შესაძლოა, მართლაც, უცნაური ყოფილიყო. მაგრამ მეგრელთა წინაპრების მუსიკალური კულტურა, პირველ რიგში, იმდროინდელ მაღალგანვითარებულ კოლხეთის სამეფოში უნდა ვიგულისხმოთ. ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ძველი წელთაღრიცხვის III-IV საუკუნეებში, მაშინდელ ცივილიზებულ მსოფლიოში განთქმულ კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ სკოლაში, ამგვარი სასწავლებლების მსგავსად, მუსიკის ხელოვნებასაც ასწავლიდნენ. მაგრამ, ცხადია, მეგრელთა მუსიკალური ნიჭი, რომელიც ხალხურ სიმღერებშია განსხეულებული, რომელიმე სასწავლებელში

სრულყოფას არ საჭიროებდა. და ამ ფენომენმა დღემდე, ახალშექმნილთან ერთად, ძველი, უბერებელი ნიმუშები შემოინახა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეგრული სიმღერების მელოდიკა. სწორედ მელოდიის განვითარებულობას უკავშირდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ მეგრული სიმღერა ლირიკულობით გამოირჩევა. ეს მეგრული ფლერადობა, სვანურ მედიდურ ხმოვანებასთან, კახურ ბანზე გალაღებულ ჩახვევასთან და ხმების გურულ სიმკვირცხლესთან ერთად ქართული ხალხური მუსიკის გამოირჩეულ ფენომენს აყალიბებს.

სამხმიან წყობაში, მუსიკის ზოგადი წესების მიხედვით, მელოდია ზედა ხმას მიჰყავს. მაგრამ ეს წესი საქართველოში ხშირად არ სრულდება, რადგან აქ სამხმიანობა უკვე არსებულ ორბმიანობაზე ზედა ხმის დართვით ჩამოყალიბდა. ამიტომ წამყვანი როლი შუა, ახლა უკვე – მეორე ხმამ, „მოქმელმა“ შეინარჩუნა. თუმცა თანდათან ზედა, პირველი ხმა, „მოძახილი“ ბევრ ქართულ სიმღერაში ძირითადი მელოდიის წამყვანია. და ამ მხრივ სწორედ მეგრული სიმღერები გამოირჩევა. მისი ფლერადობისადმი სწრაფა მელოდიის „ზედა სართულზე“ – პირველ ხმაში გადანაცვლებით გამოიხატა და ამით კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.


მეგრულ – ლაზური სიმღერა სწორედ მელოდიურობითაა გამოირჩეული. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ხვედრის გამო მან მრავალბმიანობა დაკარგა, შეინარჩუნა სწორედ კოლხური ფლერადობა, რომელმაც ისეთი მარგალიტები მოგვცა, როგორიცაა „ლაზური ნანა“, „ანდლა მზოლაშა მეულუ“, „ეკულანი მიშიე“, „ფელუკა ელქენონი“...

ლირიზმი და ემოცია მშვენიერი სქესის ერთ-ერთი სახასიათო თვისებაა. იქნებ ამიტომაცაა ასე სახელგანთქმული მეგრულ ქალთა სიმღერები. დღესაც გვხვობლავს ელენე ჭუბაბრიას, ქიონია აკობიას, სოფიო ჭოლოკავას თავისებური მეგრული სინარნარით აღსავსე „ჩელა“, „ნანა“, „ისის ტურა“, „ასე ჩონგური“, „ჩქიმ ტორონჯი“. გან-



საკუთრებით გამოირჩევა ქალ-ვაჟთა ჩონგურზე დამღერებული ერთობლივი სიმღერები, სადაც ქალები მელოდიის მღერიან, ასევე ყურადღებას იპყრობს ქალ-ვაჟის გაბაასება, XX საუკუნეში დამკვიდრებული ფორმა, რასაც მეგრელებმა ყველაზე უკეთ აუღეს ალღო. მეგრულ ქალთა მუსიკალური ნიჭი XX საუკუნის 70-იანი წლებიდან განსაკუთრებით პოპულარულ ენ. „კოლხური ტრიოებშიც“ გამომჟღავნდა, რომლებმაც ქალთა მიერ ჩონგურზე დამღერებული მელოდიური სიმღერებით გაითქვეს სახელი.

ცნობილია, რომ მსოფლიო მუსიკალურ კლასიკაში მელოდიური სიმდიდრით ნაღვლიანი, მინორული მუსიკა უფრო დაიკვებინა, ვიდრე – მხიარული, მაჟორული მუსიკა. ერთგვარი სეუდით მეგრული მელოდიური სიმღერაც გამოირჩევა. ძნელია, ითქვას, რა არის ამ სეუდის საფუძველი, რომელსაც მეზობელ დიალექტებში – სვანებში, გურიში, იმერეთში – ძნელად თუ შევხვდებით. იქნებ ეს სეუდა ისტორიული ბედუკუდმართობის გამოძახილია, ან იქნებ – უბრალოდ მუსიკალური თავისებურება? ხშირია ნაღვლიანი მოტივები ერთგვარ „ჩვილიან“ მეგრულ სიმღერებში „ჩელა“, „მა დო ჩქიმი არაბა“, „ასე ჩონგური“, „სი ქოულ, ბატა“, „ვა გიყორქო მა“, „ვოჯანუდი ჩქიმ ჯარგვალს“ და სხვ., სადაც გლვებაცნო ან თავის დაბეჩავებულ ყოფას დასტურის, ან – უპასუხო სიყვარულს. ერთ-ერთი – ამგვარი განცდა ხალხური ლირიკის მარგალიტებს გვიბოძებს.



ფოლკლორი



მეგობრული მეგრული სიმღერის ზღაპრად, რომელიც ხშირად მკენესარც ინტონაციისაა, რაც ხშირად არა ეგედის გამოხატულებაა, არამედ — მელოდიისადმი მომღერლის ფაქიზ, ემოციურ მოპყრობას ამჟღავნებს. მეგრული თითქოსდა თითოეულ ბგერას „აგემოვნებს“ და ისე „კრავს“ მელოდიის ერთიან მომხიბლავ „თაღს“.

მართლაც, მეგრელის ემოცია, ცხადაა, სევდი არ იფარგლება. ძნელად თუ მოიპოვება საქართველოში იმდენი სახუმარო სიმღერა, რამდენიც სამეგრელოშია — „ჩაგუნა“, „ჯანსულო“, „ჭიჭე ტურა“, „არამი დო შარიქა“, „ბურღა“, „მარებელი“, „ერეხელი“... მეგრული ახალგაზრდების საღალღობო თავყრილობაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა საცეკვაო-საფერხულო „ოხოხოია“, „პარირა“, „ოსხაპური“, „ვოსა“, „ხინტიკრია“, „ვარდა“ ...

სალხინო, საღალღობო სიმღერებიდან პირველ რიგში უნდა ითქვას მხნე, ვაჟკაციური შემართების მაყრულის — „კუჩხი ბედინერის“ შესახებ, რომელიც ახალ წელს — კალანდასაც სრულდებოდა. მაყრულის, ოღონდ სუფრულის, სახეობაა „კუნტა ბედინერაც“, რომელიც თავისი პოლიფონიური ხმათასვლით თამამად დაუდგება გვერდში გურულ „ტრიოს“ სიმღერებს. მასთან ერთად, სუფრულები „გეფშვათ ღვინი ხარათია“, „გეშვი დო გეშვი“, „მრავალჟამიერი“, „მადლობელი“ მოლხენისადმი მეგრული კაცის მიდრეკილებაზე მოუთითებს, რომელსაც XVII საუკუნეში იტალიელი თეატინელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტიც აღნიშნავდა. იგი წერს: „მეგრელებს წმინდა მოვალეობად მიაჩნიათ, რომ დღესასწაულის დროს რაც შეიძლება დიდი წვეულება გამართონ და რაც შეიძლება დიდხანს დარჩნენ სუფრაზე“.

მაგრამ მარტვილის, ილორის, წალენჯიხის, ხობის, ნოქალაქევის სალოცავების პატრონ მეგრულ კაცს არც ღვთისადმი პატივის მიცემა ავიწყდებოდა. ქართული სამგალობლო ტრადიციის ერთ-ერთ მძლავრ შენაკადს წარმოადგენს მარტვილის სამგალობლო სკოლა, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო დიმიტრი ჭალაგანიძე, აგრეთვე ანტონ და თეიმურაზ გეგეჭკორები. შობას და აღდგომას მეგრული შესანიშნავ „ალილოს“, „კირიალესას“, „წმინდაო ღმერთოს“ უძღვნიდა. საინტერესოა, რომ არქანჯელო ლამბერტს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი „წმინდა კოლიდა“, რომელიც სამეგრელოს სარწმუნოებრივ მდგომარეობას ეხება. სამწუხაროდ, ეს ნაშრომი ჯერ ქართულად თარგმნილი არ არის.

ამასთან ერთად, ეს იტალიელი მისიონერი თავის ნიგში „სამეგრელოს აღწერა“ აღნიშნავს: „არც ერთი ერი ისეთ პატივს არ სცემს მინათმოქმედებას, როგორც მეგრელები. სხვაგან ყველგან მიწის მუშაობას ეტანებიან მხოლოდ დაბალი ხალხი და ხეპრე გლეხები. სამეგრელოში კი რაც უნდა დიდი გვარის კაცი იყოს, თვითონ ამუშავეს თავის ყანებს და მოჰყავს თავისი საზრდო... ეს საქმე სათაკილოდ როდი მიაჩნიათ.“ ლამბერტი ასევე მოგვითხრობს აქ არსებულ ერთობლივ შრომის პროცესზე, რომელიც რიტმული სიმღერის თანხლებით სრულდებოდა. „ნადური“ (მეგრულად „ნოდური“) სიმღერები დღესაც სამეგრელოს მუსიკალური ყოფის ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა. „ოჩეშხვი“, „ოყონური“, „ოზარგალი“, „ოსხუნური“, „ხემხვაია“ და სხვ. მეგრული მუსიკალური კულტურის სავანტურს განეკუთვნებიან. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებულ მხატვრულ სიმაღლეს „ოდოია“ (თავისი მრავალი ვარიანტით) აღწევს, რომელიც, როგორც ნყოფის სირთულით, ასევე მხატვრული ღირსებით, ცნობილ გურულ-აჭარულ „ნადურებს“ არ ჩამოუვარდება. ყურადღებას იპყრობს სახელი „ოდოია“, რომელიც ძველი მეგრული ღვთაების „ოდის“ სახელიდან უნდა მომდინარეობდეს (ამავე წარმოშობის უნდა იყოს ეთნონიმი „ოდშიც“).


მეგრულ სასიმღერო შემოქმედებაში სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ამსახველი ნიმუშებია შემონახული. უძველესი სიმღერების „ძაბრალეს“, „ოდოიას“, „კუჩხი ბედინერის“, „პარირას“, „ოხოხოიას“ ზოგიერთი ვარიანტის გვერდით იმღერება უკვე ევროპული გავლენის „ართი ვარდი“, „ირული ჩქიმდა“, „მახა“, „თეშილბალი“, „მა სი ვარდი“, „ულა მოკო“ და სხვა. ქართველ ეთნომუსიკოლოგებს შორის არის აზრი, რომ XX საუკუნეში ლოტბართა მიერ ძველ მოტივებზე შექმნილი ახალი სიმღერების მაღალმხატვრულობით სამეგრელოს სხვა ქართული კუთხე ვერ შეედრება.

საზოგადოდ, ბევრი ქართული კუთხე ვერ დაიკვებინს გამოჩენილ ლოტბართა იმ სიუხვით, რაც სამეგრელოს ახასიათებს. მათ მრავალი ასეული სიმღერა შეუნარჩუნეს საქართველოს როგორც ძველმეორი, ასევე — და-

მუშავებული სახით. ამ მხრივ, პირველ რიგში გამოსარჩევია მეგრული სიმღერის „პატრიარქად“ წოდებული ძუკუ ლოლუა. მეგრულ მომღერალთა და ლოტბართა მთელი პლეადის აღმზრდელი, რომლის მიერ ჩამოყალიბებული გუნდი შემდგომში საქართველოს სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის ძირითადი ბირთვი გახდა; დღესაც, ჩანანერებიდანაც გვაოცებს თავისი უნიკალური ხმით ნოკო ხურცია; მეგრული სიმღერის კოლორიტის ზედმინევიით ზუსტად და მაღალმხატვრულად გადმოცემით გახდნენ ცნობილი ლოტბარები რემა შელეგია, კირილე პაჭკორია, კინი გეგეჭკორი, პლატონ ფანცულაია, ვლადიმერ ბაბილუა...

აი, სხვა ცნობილი მეგრული ლოტბარები და მომღერლებიც: ვალერიან გეგეჭკორი, ლომინ გუგუშვილი, ივანე ჩოზბაია, ქიონია აკობია, ბეგლარ აკობია, ვლადიკონ ჭელიძე, პროფილე გაბელია, მიხეილ ხავთასი, იროდი კალანდია, ელენე ჭუბაბრია, ასთამურ მარლანია, ნიკოლოზ ხვიტია, ვლადიმერ სალია, ნოკო ჩაჩიბაია, აკაკი ხარებავა, ტრიფონ ხუხუა, ოთარ დიხამიჯია, ვლადიმერ ნაჭყებია, ანდრი ალანია, ბიქტორ აბშილავა, შოთა გვალია, ალექსანდრე ბერაია, ვალერიან გაბისონია, შოთა ბიგვავა, ლონგინოზ და ვახტანგ მიმინოშვილები, ლეონტი ჩიხლაძე, ორდენ ლეთანძე, ვახტანგ ჯორჯიკია, ლეო ფაჩულია, გივი ცომბია, ოთარ მელია, პანტე ბოჯგუა, პოლიკარპე ხუბულავა...

მეგრული სიმღერები სხვა ქართულ სიმღერებს შორის თავიდანვე გამორჩეული ყურადღებით სარგებლობდნენ მუსიკოსთა შორის. მისი ჩანანერები კეთდება XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან: ანდრია ბენაშვილის, ქრისტეფორე გროზდოვის, ზაქარია ჩხკვიანის, უფრო გვიან — ია კარგარეთელის და დიმიტრი არაყიშვილის სანოტო კრებულებში; XX საუკუნის შუა წლებიდან თავიანთ კრებულებში მას დიდ ადგილს უთმობს გრიგოლ კოკელაძე; ხოლო ოთარ ჩიჯავაძე, არჩილ და რუსუდანი ხორაევი ცალკე მეგრული სიმღერის კრებულებს გამომცემენ. დღესდღეობით დიდი ღვაწლი მიუძღვის მეგრული სიმღერის წინაშე ქველ-





მოქმედ გოდერძი ბუკიას, ქართული მუსიკალური ფოლკლორის ცნობილ მოღვაწეს ანზორ ერქომაიშვილს, მეგრული სიმღერის დღევანდელ უბადლო შემსრულებელსა და ლოტბარ პოლიკარპე ზუბულავას, რომელთა უშუალო ძალისხმევით ხოში ტრადიციულად ტარდება „მეგრული საღამოები“, მომზადდა მრავალი მნიშვნელოვანი გამოცემა.....

ფოლკლორი

საუკუნის წინ ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე – დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქართველის გადაუვლია ზურგზე და მისსა, მაგრამ ყოველთვის ფამსა რღვევისა და განილები-სა... მტერთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსული და ერთგული იმ ხსეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინეთ.

ეგრე არის ახლა, ეგრე დარჩება მომავალშიც.“ მართლაც, სამეგრელო და მეგრული სიმღერა დღესაც ყოველივე ქართულის ერთ-ერთი მენიხავე მებაირახტრეა, მისი ღირსეული წარმომჩენია მსოფლიო კულტურის ასპარეზზე.

თამაზ ბაბინოსია

ეთნო მუსიკოლოგი, მუსიკოლოგის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ეკკალიპტი

ეკკალიპტების წარგაობა საუკეთესო ქარსაფარია

ძლიერი ქარების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შორის, ეკკალიპტების წარგაობის ქარსაფარად გამოყენება მსოფლიოში აღიარებულია. განსაკუთრებით ეფექტურია იგი ოკეანეებისა და ზღვების სანაპიროებზე განლაგებული ქვეყნებისათვის, სადაც მძლავრ ქარებს ხშირად დამანგრეველი შედეგები მოჰყვება.

ეს ყოველმხრივ ძლიერი, მაღალი ტანის მერქინი მცენარე თავისი მძლავრი ფესვთა სისტემით, რომელიც ძრმად ვრცელდება ნიადაგში, უძლებს ძლიერი ქარების ხანგრძლივ დარტყმებს, მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, გაბატონებული ქარების სიხშირის, სიმძლავრისა და მიმართულების გათვალისწინებით შენდება ეკკალიპტების მრავალმწიფიანი (4, 6, 8, 10) და მრავალსაფეხურიანი ქარსაფარი ზოლები ან მისი ტყეები, რომელთა სიმაღლე ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებისა და მცენარეთა სახეობების მიხედვით 25-30 მეტრიდან 80 მ სიმაღლეს აღწევს, ასეთი მცენარეული მწვანე ქარსაცავი კედელი მნიშვნელოვანწილად ასუსტებს სტიქიური ქარების მიმართულ-მოწესრიგებულ ქროლვას და ამცირებს მის მიერ მიყენებულ ზარალს.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის შავი ზღვის სანაპირო ქალაქები: ბათუმი, ფოთი, ქობულეთი, გურიის საკურორტო ზონა, ანაკლია და სხვა დასახლებული პუნქტები ხშირად განიცდიან ზღვიდან მონაბერი ქარების არასასურველ ზემოქმედებას, რომელიც სხვადასხვა სიდიდის ზარალით მთავ-

რდება, ყოფილა ადამიანური მსხვერპლიც. ეს გარემოება აუცილებელს ხდის უპირველეს ყოვლისა ზემოხსენებული ქალაქების, დასახლებული პუნქტების და კურორტების დასაცავად შავი ზღვის სანაპიროზე გაშენდეს ეკკალიპტების რამდენიმე მწკრივიანი და საფეხურიანი ქარსაფარები, რაც მნიშვნელოვანწილად შეასუსტებს სტიქიის სიმძლავრეს.

1970-92 წწ. სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების სამეცნიერო ორგანიზაციაში ვსწავლობდი მხოლოდ და მხოლოდ 1949-50 წწ. და 1953-54 წწ. კრიტიკული ყინვების შემდეგ გადარჩენილ ეკკალიპტებს და ვარჩევდი მხოლოდ და მხოლოდ ყინვებისაგან დაუზიანებელ სახეობებს, შერჩეული ფორმებიდან მივიღე ყინვაგამძლე და მაღალზეთიანი ახალი თაობა, რომლისგან შეექმენი სათესლე პლანტაცია. საბედნიეროდ, მომდევნო თაობებმა შეინარჩუნა ყინვაგამძლეობა, უფრო გაიზარდა მწვანე მასაში ზეთიანობა და მისი ხარისხი, ასევე შეინარჩუნა სილამაზე და აზოვანება.

რამდენადაც ეკკალიპტის ეთეროვან ზეთებზე დიდი მოთხოვნილება იყო, დასავლეთ საქართველოს ეთერზეთოვან და სამკურნალო მცენარეების სპეციალიზებულ მეურნეობებში გავაშენე 300 ჰექტარზე მეტი ეკკალიპტების ამონაყარი-საკაფი კულტურის პლანტაციები, საიდანაც მიღებულ იქნა ფანტასტიკური საექტარო მოსავალი მწვანე მაისისა 25-30 ტონა, ხოლო ზეთის გამოსავალი ყოველი ტონიდან 20-22 კგ, ნაცვლად მანამდე არსებული 4-5 კილოგრამისა. საუბედუროდ,

ამჯერად ეს ღონისძიებაც შეწყდა საქართველოში სამოქალაქო ომისა და საბჭოთა სისტემის ნგრევის გამო.

ამჟამად საქართველოში ჩამოყალიბებულია გერმანული ფორმა საქეთერზეთი, რომელიც დაინტერესებულია ეკკალიპტებით.

პრესიდან ცნობილია, რომ ზღვის სანაპირო ზოლში ქ. ფლთსა და ახლად ჩამოყალიბებულ კურორ ანაკლიას შორის გაყვანილი იქნება კეთილმოწყობილი, ასფალტირებული გზა, რაც უსათუოდ ახალ საკურორტო ადგილებს წარმოშობს. ამასთან ერთად, გზის ორივე მხარე ისე უნდა გამწვანდეს, რომ ზღვის სილაღეს კიდევ უფრო მეტი ეშხი და ლაზათი შემატოს. ზღვებისა და ოკეანის სანაპიროზე გაშენებული ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გამოცდილებიდან კარგადაა ცნობილი, რომ სანაპიროების გამწვანება მარადმწვანე ძლიერი, ლამაზი და მაღალი მერქინი მცენარეებით წესადაა შემოღებული, მწკრივებად თუ ტყეებად გაშენებული მარადმწვანე ნარგავები სილამაზესთან ერთად, ძლიერი ქარების საწინააღმდეგო ეფექტურ ღონისძიებად მოგვევლინება. 30-35 მეტრი სიმაღლის მწვანე, ძლიერი კედელი მოვარდნილი ქარების ხშირად დამანგრეველი ძლიერების შესუსტებას იწვევს. სწორედ ასეთი იქნება გზის მეორე მხარეზე დარგული ეკკალიპტის განიერი, ცადატყორცნილი ვარჯი, რომელიც 5-6 წლის განმავლობაში შექმნის მწვანე გვირაბს, რაც ჭეშმარიტად მოაჯადოვებს, როგორც ადგილობრივებს, ასევე ჩამოსულ სტუმრებს, საექსკურსიოდ ალბათ ესეც იქნება საკმარისი.

გვაქვს შესაძლებლობა გამოვიყენოთ ნებისმიერი რაოდენობის უძვირფასესი ეკკალიპტების ნერგები.

სიმონ ზაქარაია